ხელშეკრულება №1

ქ.ქობულეთი 03 იანვარი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს ,,აჭარა ავტოგაზი‘‘-ს დირექტორი რ.გუნდაძე (შემდგომში **,,შემსრულებელი‘‘**) და მეორეს მხრივ შპს ,,მუნიციპალური ტრანსპორტი‘‘ (შემდგომში **,,დამკვეთი‘‘**) ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შპს ,,მუნიციპალური ტრანსპორტი‘‘-ს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბუნებრივი აირით გამართვა. კლასიფიკატორის კოდი - 09123000.

2. მხარეთა უფლებანი და ვალდებულებანი

2.1. ,,დამკვეთი‘‘ ვალდებულია ყოველი თვის დასაწყისში განსაზღვროს და აცნობოს ,,შემსრულებელს‘‘ მისთვის საჭირო საწვავის რაოდენობა.

2.2. ,,დამკვეთი‘‘ ვალდებულია უკვე განსაზღვრული საჭირო რაოდენობის საწვავის ღირებულება წინასწარ გადაუხადოს ,,შემსრულებელს‘‘.

2.3. ,,შემსრულებელი‘‘ ვალდებულია ,,დამკვეთის‘‘ მიერ წარმოდგენილი საწვავის რაოდენობის მიხედვით გამოუწეროს შესაბამისი ტალონები და მიაწოდოს ,,დამკვეთს‘‘.

2.4. ,,დამკვეთი‘‘ ვალდებულია გაწეული მომსახურებისათვის ,,შემსრულებელს‘‘ დროულად გადაუხადოს შესაბამისი თანხა.

2.5. ,,შემსრულებელი‘‘ ვალდებულია, ყოველი თვის ბოლოს ,,დამკვეთის‘‘ მიერ თვის განმავლობაში გახარჯული ტალონები (შესაბამისად საწვავის ხარჯვის ინფორმაცია) უკანვე დააბრუნოს.

3. ფასები და ანგარიშწორების წესი

3.1. ,,დამკვეთმა‘‘ გაწეული მომსახურებისათვის ,,შემსრულებელს‘‘ უნდა გადაუხადოს ანაზღაურება შესაბამისი საწვავის ღირებულების მიხედვით.

3.2. ,,შემსრულებლის‘‘ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. თანხით 7500(შვიდიათასხუთასი) ლარი

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 03 იანვრიდან და ძალაშია 1 წლის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა მოხდება წინასწარ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე და მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისა და შედარების აქტის საფუძველზე.

4.3. ხელშეკრულება ვადაგაგრძელებულად ითვლება თუ არ არსებობს წინასწარი მოთხოვნა მისი შეწყვეტის თაობაზე.

5. სხვა პირობები

5.1. ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი“
შპს „აჭარა ავტოგაზი“
ს/ნ 247001462
ქობულეთის რაიონი სოფ. გვარა
სს „თიბისი ბანკის“ ბათუმის ფილიალი
ა/ა №GE67TB1001136020146701

დირექტორი: რ.გუნდაძე

„დამკვეთი“
შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“
ს/ნ 237111594
ოზურგეთის რ-ნი სოფ. გურიანთა
სს „ლიბერთი ბანკი“
ა/ა №36080025123

დირექტორი: ა.გოგოტიშვილი